საქართველოს პარლამენტის
აპარატის
იურიდიული დეპარტამენტი

თბილისი 0118, რუსთაველის გამზ. №8
ტელ: ( 995 32) 2281394
ელ. ფოსტა: legaldep@parliament.ge

საქართველოს პარლამენტი

LEGAL DEPARTMENT
OF STAFF OF
PARLIAMENT OF GEORGIA

8 Rustaveli Avenue, 0118,Tbilisi,Georgia,
( 995 32) 2281394
e-mail: legaldep@parliament.ge

№ 140
„22“ „11“ 2021 წ.

# დასკვნა

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტებისა და „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის (№07-2/86; 15.11.2021) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განხილვის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტები და „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი (№07-2/86; 15.11.2021) და გაცნობებთ შემდეგს:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონპროექტებს თან ერთვის ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან, კერძოდ, წყალდიდობის რისკების შეფასებისა და მართვის შესახებ 2007 წლის 23 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007/60/EC დირექტივასთან, ურბანული ჩამდინარე წყლის გაწმენდის შესახებ 1991 წლის 21 მაისის საბჭოს 91/271/EEC დირექტივასთან, სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ 1991 წლის 12 დეკემბრის საბჭოს 91/676/EEC დირექტივასთან, ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ 1998 წლის 3 ნოემბრის საბჭოს 98/83/EC დირექტივასთან და წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ 2000 წლის 23 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/60/EC დირექტივასთან შესაბამისობის ცხრილები. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილია ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ბოლო კონსოლიდირებული ვერსიები, თუმც „ერთის მხრივ, საქართველოსა და, მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების 306-ე მუხლისა და XXVI დანართის თანახმად, საქართველოს ვალდებულებად განისაზღვრა კანონმდებლობის დაახლოება ურბანული ჩამდინარე წყლის გაწმენდის შესახებ 1991 წლის 21 მაისის საბჭოს 91/271/EEC დირექტივასთან 98/15/EC დირექტივითა და №1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ 1991 წლის 12 დეკემბრის საბჭოს 91/676/EEC დირექტივასთან (EC) №1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების

შესაბამისად, ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ 1998 წლის 3 ნოემბრის საბჭოს 98/83/EC დირექტივასთან (EC) №1882/2003 რეგულაციით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად და წყლის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი მოქმედებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ 2000 წლის 23 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/60/EC დირექტივასთან 2455/2001/EC გადაწყვეტილებით შეტანილი შესწორებების შესაბამისად.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია კანონის პროექტების განხილვის პროცედურის დაწყება.

ალექსანდრე ტაბატაძე

დეპარტამენტის უფროსი